N-ოქსიდების ბმრ სპექტრისათვის დამახასიათებელია N-CH_3 ჯგუფისა და არომატული H პროტონის სიგნალები, რომლებიც წანაცვლებულია სუსტი ველისაკენ, აპორფინული ალკალოიდების სპექტრში არსებული შესაბამისი პროტონების სიგნალებთან შედარებით.

თავი 2.

ექსპერიმენტული მონაცემების განსჯა

ბუნებრივნაერთთა ქიმიის, კერძოდ, ალკალოიდების ქიმიის დარგში სრულყოფილი კვლევა გულისხმობს მცენარეული სამყაროს რაციონალურ შესწავლას ალკალოიდშემცველი მცენარეების გამოვლენის მიზნით. ალკალოიდების რაოდენობრივ და თვისებრივ შესწავლას, ჯამური პრეპარატებისა და ინდივიდუალური ალკალოიდების გამოყოფას, მათი აგებულების დადგენას, ფარმაკოლოგიური თვისებების შესწავლას, საინტერესო თვისებების მქონე პრეპარატების მიღებას და სამედიცინო პრაქტიკაში მათ დანერგვას.

წლების მანძილზე სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში ჩატარებული კვლევის შედეგები მეტად მნიშვნელოვანია [134]. დანერგილია მრავალი სამკურნალო პრეპარატი [135, 136, 137]. დადგენილია ზოგიერთი ალკალოიდის ტოქსიკურობა. თვით მცენარეც, რომელიც ასეთ ალკალოიდს შეიცავს მრავალი მძიმე დაავადების გამომწვევია. ასეთი ალკალოიდებია: აკონიტინი, ჰელიოტრინი და ა.შ, ხოლო დაავადებები შეიძლება იყოს: ენცეფალიტი, ტოქსიკური ჰეპატიტი და სხვა. ამიტომ მიღებულია პრაქტიკული ღონისძიებებიც ამ მცენარეთა ლიკვიდაციისათვის [138, 139, 140].

მცენარეებში ალკალოიდების დაგროვება, მათი თვისობრივი და რაოდენობრივი შედგენილობა დიდადაა დამოკიდებული გარემოზე, ნიადაგზე, კლიმატურ პირობებზე და სხვა ფაქტორზე, რაც განაპირობებს განსხვავებულ პირობებში მზარდი, თუნდაც უკვე შესწავლილი მცენარის ხელმეორედ შესწავლის მიზანშეწონილებას [3].

ცნობილია, რომ მცენარე მაგნოლიას სხვადასხვა სახეობების სავეგეტაციო ორგანოებიდან მიღებული გალენური პრეპარატები და მასში შემავალი ალკალოიდები ბიოლოგიური აქტიურობით ხასიათდებიან, გამოიყენებიან ხალხურ მედიცინაში. ეს კი ზრდის ინტერესს მათ მიმართ. საინტერესოდ გვესახებოდა საქართველოში, კერძოდ, ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მზარდი მაგნოლიასებრთა ოჯახის ზოგიერთი სახეობის გამოკვლევა.

წინამდებარე კვლევითი სამუშაო სწორედ მაგნოლიასებრთა ოჯახის ორი სახეობის შესწავლას ეძღვნება.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა *Magnolia obovata* Thunb-ის და *Magnolia grandiflora* L-ის ფოთლებიდან ჯამური პრეპარატების გამოყოფა, მათი დაყოფა, ინდივიდუალური ალკალოიდების შესწავლა, ნაწარმების მიღება, ფოთლების ექსტრაქტის ბიოლოგიური

აქტიურობის დადგენა და ფენოლოური ნაერთების გამოკვლევა.

მცენარეები *Magnolia obovata* და *Magnolia grandiflora* მაგნოლიასებრთა ოჯახის (*Magnoliaceae*) წარმომადგენლებია. ოჯახის სახელწოდება ფრანგი ბოტანიკოსის (*Magnol*) გვარიდან მომდინარეობს.

საქართველოს პირობებში მაგნოლიასებრთა ოჯახის ოცამდე სახეობა და ქვესახეობაა შემოტანილი და გამოყვანილი ბათუმის ბოტანიკურ ბაღში [141]. ესენია:

გვარი: *Liriodendron* L ანუ ხეტიტა, სახეობა: *Liriodendron tulipifera* L.

გვარი: *Magnolia* – მაგნოლია. სახეობები: *Magnolia acuminata* L,

M. Campbellii Hook. et Thoms; *M. coco* Dc, *M. delavayi*

Franch; *M. denudata* Desr; *M. grandiflora* L; *M. kobus* Dc; *M. borealis*

sary, *M. liliflora* Desr; *M. loebneri* Kache; *M. obovata* Thunb; *M. Sinensis*

Rehd. et wils/ staf; *M. soulangeana* Soul-Bod; *M. stellata*/Sieb et Zucco/

Maxim; *M. tripelata* L; *M. virginiana* L; *M. watsonii* Hook. [141].

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკური ბაღი არსებობიდან 85 წელს ითვლის. იგი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქ ბათუმიდან 9 კილომეტრითაა დაშორებული. ბაღის ტერიტორია დაახლოებით 113 ჰექტარია. ბაღის კოლექცია 2037 ტაქსონს ითვლის. აქ თავმოყრილია ეგზოტიკური მცენარეების და ენდემების მდიდარი ასორტიმენტი.

ბათუმის ბოტანიკური ბაღი არის სამეცნიერო ლაბორატორია ღია ცის ქვეშ. აქ სამეცნიერო განყოფილებაა. არსებობის 85 წლის მანძილზე გამოყვანილი და გამოცდილია მცენარეების 6000-ზე მეტი სახეობა. მათ შორისაა მაგნოლიის სხვადასხვა სახეობები. ამ გვარის მრავალი სახეობა გვხვდება ჩრდილოეთ ამერიკაში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. არსებობს ფოთოლმცვენი და მარადმწვანე სახეობები. დეკორატიული მიზნით მათი კულტივირება ხდება შავი ზღვის სანაპიროზე ყირიმში, კავკასიაში, უკრაინაში, კარპატებში და ლატვიაში (იურმალაში).

ოჯახის ასამდე სახეობიდან შესწავლილია რამდენიმე. მათგან ალკალოიდები აღმოჩენილია მხოლოდ ათში.

მაგნოლიასებრთა ოჯახიდან პირველად ა.პ. ორეხოვისა და ნ.ფ. პროსკურნინას მიერ (1939 წ.) შესწავლილი იქნა *Magnolia fuscata*. მცენარე აღებული იყო ქ. სოხუმში (ინტროდუცირებული ქ.სოხუმის მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის ჯიშთსაშენში) [142]. მათ მიერ ნაჩვენები იყო, რომ *M. fuscata*-ს ფოთლები შეიცავენ ალკალოიდებს მნიშვნელოვანი რაოდენობით (1-2%).

მათ მიერ გამოყოფილი იქნა დიბენზილიზოქინოლინური ალკალოიდები: მაგნოლინი $C_{36}H_{40}N_2O_6$, და მაგნოლამინი $C_{36}H_{40}N_2O_7$.

ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მზარდი მაგნოლიის (როგორც ფოთოლმცვენის, ასევე მარადმწვანე სახეობების) ცალკეული ვეგეტატიური ორგანოები ალკალოიდშემცველობაზე შეისწავლა ჩეხმა მეცნიერმა ირჟი პონერტმა, რომელიც იმხანად მოღვაწეობდა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში (1978-1983 წ.წ.) [141].

პონერტმა მაგნოლიის ფოთლებიდან ქიმიური მეთოდებისა და ქრომატოგრაფიული ანალიზის გამოყენებით გამოყო ალკალოიდების ჯამური პრეპარატი, რომლის დაყოფით, მიღებული ალკალოიდები: მაგნოლამინი, მაგნოკურარინი, მაგნოფილინი და მაგნოფლორინი შეისწავლა შვედური მას-სპექტრომეტრის საშუალებით. ნაშრომი სადოქტორო დისერტაციის სახით იქნა წარმოდგენილი.

კორეელი მეცნიერი ჩხვე ტხესოპის წიგნის „სამკურნალო მცენარეები“ მიხედვით *M. obovata* გამოიყენება ხალხურ მედიცინაში და რომ მცენარის ცალკეული ორგანოები შეიცავენ ალკალოიდებს: მაგნოლინს, დემეთილდაურიცინს, მაგნოლამინს და მაგნოკურარინს [143].

მაგნოლიას გვარის ზოგიერთი სახეობა ალკალოიდების შემცველობაზე შესწავლილ იქნა ტაშკენტის მცენარეულ ნივთიერებათა ქიმიის ინსტიტუტში. ეს სახეობებია: *Liriodendron tulipifera* L, *Liriodendron chinense* Harms, აგრეთვე *Magnolia soulangeana* Saul-Bod და *Magnolia cobus* DC. გამოყოფილია აპორფინული ალკალოიდები [138].

ჩვენს მიერ შესწავლილია ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მზარდი *Magnolia obovata* Thunb [144,145] და *Magnolia grandiflora* L .

Magnolia obovata Thunb – მაგნოლია უკუკვერცხისებრი მაღალი, ფოთოლმცვენი ხეა, რომელიც 30 მ-დე იზრდება. ფოთლების ზედაპირი რბილია, ხოლო ქვედა მხარე ბუსუსიანი (სურათი 1). იგი ზაფხულში ყვავილობს. მას მსხვილი, სურნელოვანი, თეთრი ფერის ყვავილები აქვს, რომლებიც გაშრობისას მოყვითალო ხდება, ხოლო მწვანე ფოთლები კი გაშრობისას ყავისფერ შეფერილობას იღებს.

M. obovata ბათუმის ბოტანიკურ ბაღში პირველად ინტროდუცირებულია 1913 წელს. 75 წლის ხე 16 მ-ს აღწევს სიმაღლით და 41 სმ დიამეტრის ტანი აქვს. ყვავილობს ფოთლების გამოღების შემდეგ მაისიდან ივლისამდე. კარგად მრავლდება თესლით. იგი სიცივე გამძლე ძვირფასი დეკორატიული მცენარეა. მისი სიმაღლე ზოგჯერ 30 მეტრსაც აღწევს. მერქანი ღიანაცრისფერია.

ახალგაზრდა ყლორტები ღია წაბლისფერი. ფოთლები უკუკვერცხისებრი, ძალიან დიდები 40 სმ სიგრძის და 20 სმ სიგანის, ზევიდან მწვანე, ქვევით მოცისფრო, ფუძესთან მომრგვალებულია. ფოთლები მოგროვებულია პატარა ტოტების ბოლოში მარაოსებრად 8-10 ცალად, ეს მცენარეს დამახასიათებელ შეხედულებას ანიჭებს. კოკორი დიდია, ყვავილები ფინჯნისებრია, მოყვითალო-თეთრი, 15-18 სმ დიამეტრის, არომატული. ნაყოფი- წითელი, ცილინდრული, 12-18 სმ სიგრძის.

ბუნებრივი არეალი: კურილიის კუნძულები /კუნაშირი/, იაპონია, ჩინეთი. იზრდება შერეულ მთის ტყეებში 1600-2000 მ. ზღვის დონიდან [141].


Magnolia grandiflora L. - დიდყვავილა მაგნოლია, 30-მ-დე სიმაღლის მარადმწვანე, სწორტანიანი ხეა. ფოთლები ტყვისებრია, ელიფსური, 12-25 სმ სიგრძის და 4-12 სმ სიგანის. ფოთლის წვერო წაწვეტებულია, ფოთლის ზედა მხარე პრიალა, მუქი მწვანეა, მას ძალიან დიდი ყვავილი აქვს 15-22 სმ დიამეტრის, რძისფერი-თეთრი, არომატული სურნელით. ნაყოფი სწორად მდგარი 8-12 სმ სიგრძისაა. თესლები მოყვითალო-ყავისფერია [141, 146].

ბუნებრივი არეალი: ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთი ნაწილი, ვირჯინიიდან ფლორიდამდე, კაროლინიდან არკანზასამდე და ტეხასამდე. ეს სახეობა დიდი ხანია კულტივირებულია კავკასიაში შავი ზღვის სანაპიროზე. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში 1890 წლიდან იზრდება. 85-90 წლის მცენარემ მიაღწია 24 მ-ს სიმაღლეს და ტანის დიამეტრი 90 სმ აქვს. ბათუმის სანაპიროზე ვეგეტაციას მარტ-აპრილში იწყებს, ხოლო ყლორტები ზრდას განაგრძობს ივლის-აგვისტოშიც. ყვავილობს მაისიდან ოქტომბრამდე, ხოლო ნაყოფს იძლევა ოქტომბერ-ნოემბერში. ნაწილობრივი ფოთოლცვენა წყვეტილობრივ მაისიდან იწყება და ნოემბერ-დეკემბრამდე მიმდინარეობს. მცენარე კარგად მრავლდება თესლით. ყვავილები შეიცავს ეთეროვან ზეთებს, რომელიც გამოიყენება სამკურნალოდ და პარფიუმერიაში [147].


იგი საუკეთესო დეკორატიული მცენარეა და ფართოდ გამოიყენება შავი ზღვის სანაპიროსა და ნებისმიერი პარკების გამწვანებისათვის [141].

ჩვენს მიერ *Magnolia obovata*-ს ფოთლებიდან გამოყოფილია აპორფინული ჯგუფის ხუთი ალკალოიდი, მათი ოქსო და N-ოქსი წარმოებულები. ესენია: ანონაინი რემერინი, ლირიოდენინი, ლანუგინოზინი და ახალი ალკალოიდი იზოლაურელინის N-ოქსიდი [148, 149].

Magnolia grandiflora-ს ფოთლებიდან კი გამოყოფილია ალკალოიდები: ანონაინი, რემერინი, დეჰიდრორემერინი, ლირიოდენინი და რემერინის N-ოქსიდი. ორივე სახეობიდან გამოყოფილი ალკალოიდების შედგენილობა და სტრუქტურული ფორმულები მოცემულია ცხრილში N5.










6gh3000 1



Magnolia obovata Thunb და Magnolia grandiflora L-დან

გამოყოფილი ალკალოიდები

N	ალკალოიდი, შედგენილობა	სტრუქტურული ფორმულა	T _{მზ} °C	[α] _D გრად
1	2	3	4	5
193	ანონაინი C ₁₇ H ₁₅ NO ₂		120-122 (დაშლით)	-60*
194	რემერინი C ₁₈ H ₁₇ NO ₂		263-264 (დაშლით)	+68*
192	ლირიოდენინი C ₁₇ H ₉ NO ₃		273-275 (ქლოროფორმიდან დაშლით)	-
195	ლანუგინოზინი C ₁₈ H ₁₁ NO ₄		319-321 (სპირტიდან დაშლით)	-

1	2	3	4	5
196	<p>იზოლაურელინის N-ოქსიდი $C_{19}H_{19}NO_4$</p>		<p>138-140 (აცეტონიდან დაშლით)</p>	<p>+46**</p>
7	<p>რემერიინის N-ოქსიდი $C_{18}H_{17}NO_3$</p>		<p>164-165 (აცეტონიდან დაშლით)</p>	<p>+55**</p>
197	<p>დეჰიდრორემერიინი $C_{18}H_{15}NO_2$</p>		<p>88-89 (ბენზოლიდან)</p>	

შენიშვნა: * ეთანოლში

** მეთანოლში

M. Obovata შესწავლილია ფენოლოური ნაერთების შემცველობაზე. გამოყოფილი და იდენტიფიცირებულია იზოფერულის მჟავა [150, 151]. შესწავლილია მცენარის ფოთლების წყლიანი და სპირტიანი ექსტრაქტების (სხვადასხვა კონცენტრაციის) ბიოლოგიური აქტივობა ზოგიერთი მიკროორგანიზმის მიმართ. ექსტრაქტებმა გამოავლინეს სელექტიური ბიოციდური მოქმედება. იმ გარემოებამ, რომ ექსტრაქტებმა გამოავლინეს ანტიმიკრობული მოქმედება და რომ ალკალოიდ ლირიოდენინს, რომელიც ორივე მცენარეში ძირითადი ალკალოიდია, აქვს სიმსივნის მაინჰიბირებელი თვისება [152], კიდევ უფრო გაზარდა ჩვენი ინტერესი საკვლევი მცენარეების მიმართ.

ალკალოიდების ჯამის რაოდენობრივი განსაზღვრისა და გამოყოფისათვის *Magnolia Obovata*-ს ფოთლებიდან ჩვენს მიერ გამოყენებულია სამი მეთოდი:

1. ქლოროფორმით ექსტრაქცია უწყვეტი მოქმედების აპარატში

2. ცივი ექსტრაქცია ნჯღრევის პირობებში. /სანჯღრეველაში თავსდება მასალა ქლოროფორმთან ერთად. ცივად ანჯღრევენ 0,5 სთ-ი, გამხსნელს გადმოწურავენ, შემდეგ დაასხამენ ახალ გამხსნელს, ანჯღრევენ და გადმოწურავენ და ა.შ, ვიდრე ბოლომდე არ გამოიწვლილება.

3. ქლოროფორმით გამოწვლილვა ცივად ნჯღრევის გარეშე. პრინციპულად სამივე ეს მეთოდი მოიცავს შემდეგ პროცესებს:

ა) მცენარის შესველებას ამონიუმის ჰიდროქსიდით,

ბ) ფოთლებიდან ალკალოიდების ექსტრაქციას ქლოროფორმით,

გ) ქლოროფორმიდან ალკალოიდების მჟავაში გადაყვანას და შეტუტიანებას,

დ) ტუტე ხსნარიდან ალკალოიდების გამოწვლილვას ქლოროფორმით.

ცალკეული მეთოდის გამოყენებით მიღებული ჯამური პრეპარატების მასური წილები მოცემულია ცხრილში 6. იგივე მეთოდებია გამოყენებული *Magnolia grandiflora*-ს ალკალოიდების ჯამის რაოდენობის განსაზღვრისა და გამოყოფისათვის.

ალკალოიდების შემცველობა ჯამურ პრეპარატებში

N	მცენარის სახელწოდება	I მეთოდი	II მეთოდი	III მეთოდი
		ალკალოიდების ჯამი		
		<u>რაოდენობა, გრ</u>		
		რაოდენობა, %		
1.	Magnolia	<u>1,92</u>	<u>1,88</u>	<u>1,80</u>
	Obovata	0,48	0,47	0,45
2.	Magnolia	<u>2,32</u>	<u>2,24</u>	<u>2,16</u>
	grandiflora	0,58	0,56	0,54

აღნიშნული სამი მეთოდიდან უპირატესობა მიეცა უწყვეტი მოქმედების ექსტრაქციის პრინციპს, რომლითაც მიიღწევა ალკალოიდების ჯამის მაქსიმალური გამოსავლიანობა და რომელიც ტარდება უწყვეტი მოქმედების ექსტრაქციის აპარატში (სურათი 2).

ალკალოიდების ჯამის დაგროვების დინამიკის შესწავლა ბევრი საინტერესო საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა, როგორცაა ბიოგენეზი, ალკალოიდების ურთიერთგადასვლა და ამა თუ იმ ალკალოიდის მისაღებად ნედლეულის ალების ოპტიმალური დროის დადგენა [153,154].


კვლევა მიმდინარეობდა მცენარის ვეგეტაციის პერიოდში *Magnolia obovata*-ს შემთხვევაში ყვავილობისას და ფოთოლცვენის პერიოდში, *Magnolia grandiflora*-ს შემთხვევაში ყვავილობისას და შემოდგომაზე. ამ მიზნით ბათუმის ბოტანიკური ბაღიდან ხდებოდა აღება აღნიშნული მცენარეების ფოთლების და ყლორტებისა, დაქუცმაცებისა და გაშრობის შემდეგ ისაზღვრებოდა ალკალოიდების ჯამის შემცველობა ჰაერზე მშრალი მცენარიდან, ხოლო ჯამურ პრეპარატში ცალკეული ალკალოიდების შემცველობა თვისობრივად - ქრომატოგრაფიული მეთოდით. შედეგები მოცემულია ცხრილში 7 [155].

ალკალოიდების შემცველობა ვეგეტაციის სხვადასხვა პერიოდში

N	მცენარის სახეობა	მცენარის ვეგეტატიური ორგანო	სავეგეტაციო პერიოდი და ნიმუშის აღების დრო	ალკალოიდების ჯამი, %	ცალკეული ალკალოიდი
1.	Magnolia Obovata	ფოთოლი	ყვავილობა 15.V.95	0,48	იზოლაურელინის N-ოქსიდი, ანონაინი, რემერიინი, ლირიოდენინი
		ყლორტი	ყვავილობა 15.V.95	0,46	ლანუგინოზინი იზოლაურელინის N-ოქსიდი*
		მწვანე ფოთოლი	ფოთოლცვენის დასაწყ. 9.10.95	0,19	რემერიინი, ლირიოდენინი, იზოლაურელინის N-ოქსიდი*
		ყლორტი	ფოთოლცვენის დასაწყ. 9.10.95	0,21	რემერიინი, ლანუგინოზინი
		ფოთოლი	ფოთოლცვენის დასასრ. 12.11.95	0,18	ანონაინი, რემერიინი
		ყლორტი	ფოთოლცვენის დასასრ. 12.11.95	0,11	ლანუგინოზინი, ლირიოდენინი
2.	Magnolia Grandiflora	ფოთოლი	ყვავილობა 10.VI.96	0,52	ანონაინი, რემერიინი, ლირიოდენინი,
		ყლორტი	ყვავილობა 10.VI.96	0,49	ანონაინი, რემერიინი
		ფოთოლი	შემოდგომა 12.11.96	0,41	ანონაინი, რემერიინი, დეჰიდრორემერიინი
		ყლორტი	შემოდგომა 12.11.95	0,35	ლირიოდენინი, რემერიინი, რემერიინის N-ოქსიდი

* - ახალი ალკალოიდი

უწყვეტი მიქსედების
ექსპერიმენტის აპარატი



2.1 გამოყოფილი ალკალოიდების გამოკვლევა


გამოყოფილი ალკალოიდების შედგენილობა და აგებულება დადგენილია ელემენტური ანალიზის, იწ-, უი-, ბმრ- და მას-სპექტრების მონაცემების საფუძველზე. აგრეთვე ლლობის ტემპერატურის, R_f -ის, ხსნადობის, ნაწარმების ფიზიკურ-ქიმიური მონაცემებისა და ოპტიკური სიდიდეების შედარებით ლიტერატურულ მონაცემებთან ან ჭეშმარიტ მოწმეებთან.

2.1.1 ანონაინი (193) და რემერინი (194)


გამოყოფილი ნაერთები: ანონაინი (193) $C_{17}H_{15}NO_2$ ლღ.ტ. $120-122^{\circ}C$ და რემერინი (194) $C_{18}H_{17}NO_2$ ლღ.ტ. $263-264^{\circ}C$ - ოპტიკურად აქტიური, არაფენოლური ფუძეებია (ცხრილი 5).

უი- და მას- სპექტრის (ნახ.1) შესწავლის საფუძველზე დადგენილია, რომ ისინი ეკუთვნიან აპორფინულ ალკალოიდებს, როლებსაც D ბირთვში ჩანაცვლებული ჯგუფი არ აქვთ [2]:

ფუძე 193-ის ბმრ სპექტრში ვლინდება მეთილენდიოქსი ჯგუფის პროტონების სიგნალი, ხოლო ფუძე 194-ის ბმრ სპექტრში კი დამატებით ვლინდება $>N-CH_3$ ჯგუფის შესაბამისი





193 ანონაინი




194 რემერინი

პროტონების სიგნალი (ნახ. 2).

ფუძე 193-ის მეთილირებით (ჰესის მიხედვით) მიიღება ფუძე 194, რომელთა მახასიათებლების შედარება ლიტერატურულ მონაცემებთან, აგრეთვე ცნობილ მოწმეებთან, რომლებიც გამოყოფილი იყო *Liriodendron tulipifera*-დან [99], გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ფუძე 193 ანონაინია (1,2 მეთილენდიოქსინორაპორფინი), ხოლო ფუძე 194 რემერინი (1,2 მეთილენდიოქსინორაპორფინი). იდენტიფიკაციის საბოლოო დასტურია აგრეთვე ის, რომ გამოყოფილი ანონაინის მეთილირებით მიღებულია N-მეთილწარმოებული რემერინი, რომლის სპექტრული მონაცემები თანხვედრაშია ლიტერატურულ მონაცემებთან.



Բաժ. 1. Վեմբոնեոն (1993) զսն-նճջճիթի




2.1.2 ლირიოდენინი (192) და ლანუგინოზინი(195)


გამოყოფილი ნაერთები: ლირიოდენინი (192) $C_{17}H_9NO_3$ ლლ.ტ. $273-275^{\circ}C$ და ლანუგინოზინი (195) $C_{18}H_{11}NO_4$ ლლ.ტ. $319-321^{\circ}C$ - ყვეთელი ფერის კრისტალური ალკალოიდებია. ორივე ალკალოიდი არაფენოლურია, R_f 0,58 და R_f 0,45 შესაბამისად. ოპტიკურად არააქტიურებია, იხსნებიან ორგანულ გამხსნელებში (ცხრილი 5).

უი- (ნახ. 3) და ბმრ (ნახ.4) სპექტრების მონაცემებით, ისინი ეკუთვნიან ოქსოაპორფინულ ალკალოიდებს. მათ ულტრაიისფერ სპექტრში შეინიშნება გრძელტალღოვანი მაქსიმუმის 3 იფსოქრომული წანაცვლება 34 ნმ-ით და ინტენსიურობის მნიშვნელოვანი შემცირება, ხოლო ხილულ უბანში თავს იჩენს შთანთქმის მაქსიმუმი 406 ნმ-ზე.


ბმრ სპექტრების მონაცემების, ფუძის ლლ. ტ.-ის, ჭეშმარიტ მოწმესთან შერეული სინჯის ლლ. ტ.-ის, ქრომატოგრაფიული ანალიზის შედეგების შედარებით ჩვენს მიერ მიღებულ შედეგებთან, ფუძე 192 იდენტიფიცირებულია, როგორც ლირიოდენინი (5,6-მეთილენდიოქსი-12-ოქსოაპორფინი), ხოლო 195 კი როგორც ლანუგინოზინი (5,6-მეთილენდიოქსი-2მეთოქსი-12-ოქსოაპორფინი).





192 ლირიოდენინი



195 ლანუგინოზინი



ნახ. 3. დიდიოქსიდის (192) უი სპექტრის ეთანოლი



ՏՊԵ Կ. Շահանջատես (192). ՇՊԻ ԱՆՅՆԵԽԻ ԿՐՏԱԳՆԱԿԱԿԱՆ ԽՈՍՏՆԱԿԱԿԱՆ ԽՈՍՏՆԱԿԱԿԱՆ

2.1.3 დეჰიდრორემერინი (197)


დეჰიდრორემერინი(197) $C_{18}H_{15}NO_2$ ლლ.ტ. 88-89°C არაფენოლური ფუძეა R_f 0,64 . ოპტიკურად არააქტიურია, იხსნებიან ორგანულ გამხსნელებში: ბენზოლში, ქლოროფორმში (ცხრილი 5).

მას-სპექტრში შეინიშნება m/e : 277 (M^+ , 100%), 262,246,232,218 m^{++} (ნახევარმასა) 138,5. მოლეკულური იონის ფრაგმენტაციის ხასიათი არ ეწინააღმდეგება წარმოდგენილ სტრუქტურას და დამახასიათებელია აპორფინული ალკალოიდებისათვის.

უი სპექტრში შეიმჩნევა შთანთქმის მაქსიმუმები: 254, 262, 332 ნმ.

ალკალოიდის ბმრ სპექტრში (ნახ.5) ვლინდება სამპროტონიანი სინგლეტი 2,95 ვ.მ.ნ დამახასიათებელი $>N-CH_3$ პროტონებისათვის. ორპროტონიანი სინგლეტი 6,07 ვ.მ.ნ. მეთილენდიოქსი ჯგუფის პროტონებისათვის დამახასიათებელი და სიგნალები ხუთი არომატული პროტონისათვის. N-მეთილის ჯგუფის პროტონების სიგნალის დამახასიათებელი ქიმიური წანაცვლება, აგრეთვე არომატული პროტონების C-8, C-9, C-10, C-11 სიგნალების უფრო სუსტი ველისაკენ გადაწევა ამტკიცებს, რომ ჩვენს მიერ გამოყოფილი ალკალოიდი დეჰიდროაპორფინული სტრუქტურისაა [156]. ამ მოსაზრების დასტურად დავჟანგეთ რემერინი სხვადასხვა კონცენტრაციის $KMnO_4$ -ის აცეტონხსნარით და მივიღეთ დეჰიდრორემერინის იდენტური ფუძე, ლლ.ტ. 88-89°C.

ამრიგად, ჩვენს მიერ გამოყოფილი ფუძე 197 დეჰიდრორემერინია:




2.1.4 რემერინის N-ოქსიდი (7)

რემერინის N-ოქსიდი (7) $C_{18}H_{15}NO_3$ ლღ.ტ. $164-165^{\circ}C$ არაფენოლური ფუძეა. ოპტიკურად აქტიური, R_f 0,30 (ცხრილი 5). კარგად იხსნება წყალში. რემერინის N-ოქსიდის უი სპექტრში შეიმჩნევა შთანთქმის მაქსიმუმები: 235, 272, 316 ნმ. იწ სპექტრში ვლინდება შთანთქმის ზოლები: 745, 780, 950, 1055, 1230, 1450, 1460, 1505, 1585 cm^{-1} უბანში.


მას-სპექტრში (ნახ.6) შეინიშნება m/e 295 (M^+ 9%), 279, 278, 277, 236 (100%), 176, 151 იონთა პიკები. მოლეკულური იონის ფრაგმენტაციის ხასიათი არ ეწინააღმდეგება წარმოდგენილ სტრუქტურას.

ალკალოიდის ბმრ სპექტრში (ნახ.7) ვლინდება $>N-CH_3$ ჯგუფის პროტონებისათვის დამახასიათებელი (3,05 ვ.მ.ნ), CH_2O_2 პროტონებისათვის (5,95 და 6,49 ვ.მ.ნ.) და ხუთი არომატული პროტონისათვის დამახასიათებელი სიგნალები.


ექსპერიმენტული მონაცემების შედარება ლიტერატურულ მონაცემებთან მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენს მიერ გამოყოფილი ალკალოიდი რემერინის N-ოქსიდია. აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს რემერინის N-ოქსიდის აღდგენა ატომური წყალბადით, რის შედეგადაც გამოყოფილი და იდენტიფიცირებულია რემერინი.



7 რემერინის N-ოქსიდი



M⁺ 295



ნახ. 6. ხედივიხიხის ან-ოქსიფის (7) მახ-სვექვიქი

2.1.5 იზოლაურელინის N-ოქსიდი (196)

Magnolia obovata-დან გამოყოფილი ხუთი ალკალოიდიდან ერთი ახალია: იზოლაურელინის N-ოქსიდი (196).


იზოლაურელინის N-ოქსიდი $C_{19}H_{19}NO_4$ ლღ.ტ. $138-140^{\circ}C$. ოპტიკურად აქტიურია $[\alpha]_D^{24} +46^{\circ}$ (c 0,2 მეთანოლი). კარგად იხსნება წყალში.

იწ სპექტრში (ნახ. 8) ვლინდება შთანთქმის ზოლები: 2850, 1255 (მეთოქსი ჯგუფისათვის) და 1060, 940 cm^{-1} (მეთილენდიოქსი ჯგუფისათვის).

ალკალოიდის (196) უი სპექტრში (ნახ. 9) არსებობს შთანთქმის მაქსიმუმი 223, 283 ნმ.


ბმრ სპექტრში (ნახ.10) ვლინდება შემდეგი ჯგუფების პროტონების სიგნალები: N-მეთილის ჯგუფის დამახასიათებელი 2,90 ვ.მ.ნ (3H, სინგლეტი) მეთოქსი ჯგუფის 3,86 ვ.მ.ნ (3H, სინგლეტი), მეთილენდიოქსი ჯგუფისათვის დამახასიათებელი (5,95 და 6,10 ვ.მ.ნ.), ერთპროტონიანი დუბლეტი ($J=1,5$ ჰც), აგრეთვე ოთხი არომატული პროტონის სიგნალი.

მას-სპექტრში შეინიშნება მოლეკულური იონის პიკი m/e 325 (M^+ , 3,5%), აგრეთვე სხვა ფრაგმენტების პიკები: 309 ($M-16$)⁺, 308 ($M-17$)⁺, 307 ($M-18$)⁺, 294 ($M-31$)⁺, 292, 267, 266, (100%), 265, 251, 235. მოლეკულური იონის ფრაგმენტაციის ხასიათი არ ეწინააღმდეგება წარმოდგენილ სტრუქტურას:






196 იზოლაურელინის N-ოქსიდი


წყალში კარგად ხსნადობა, N-მეთილის ჯგუფის პროტონების სიგნალების დამახასიათებელი ქიმიური წანაცვლება სუსტი ველის უბანში, აგრეთვე მოლეკულური იონის პიკის მცირე ინტენსიურობა და მას-სპექტრში $[M-16]^+$, $[M-18]^+$ იონების შესაბამისი პიკების არსებობა. ამტკიცებს, რომ გამოყოფილი ფუძე (196) იზოლაურელინის N-ოქსიდი. აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს იზოლაურელინის N-ოქსიდის აღდგენა ატომური წყალბადით, რის შედეგად გამოყოფილი და იდენტიფიცირებულია იზოლაურელინი (ნახ. 10').



ნახ. 9. იზოტერაქტონის α -კვანძის (196) უი სპექტრის მეთანოლში



ნახ. 10. იბოლავიჯინის მ-ს სპექტრი (196) ჰაზ სპექტრი ატლანტიკის ოკეანის სანაპიროს მდინარეში აღებული ნიმუშის სპექტრი



ნახ. 10: აბსოლუტურიზაციის უძი სპექტრი

მაგნოლიის სახეობების: *Magnolia obovata*-ს და *M. grandiflora*-ს

ალკალოიდების ურთიერთგარდაქმნა

Magnolia obovata და *M. grandiflora*-დან გამოყოფილი ფუძეები 4 ჯგუფად შეიძლება

დავყოთ:

1. აპორფინული - რემერინი, ანონიანი.
2. ოქსოაპორფინული - ლირიოდენინი, ლანუგინოზინი.
3. N-ოქსიაპორფინული - რემერინის N-ოქსიდი, იზოლაურელინის N-ოქსიდი.
4. დეჰიდროაპორფინული - დეჰიდრორემერინი.

ეს ალკალოიდები ერთმანეთში ადვილად გადადიან, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ისინი

შუალედური რგოლებია ერთბიოგენეტიკურ პროცესში. საფიქრებელია, რომ ოქსოაპორფინი და დეჰიდროაპორფინი მცენარეში წარმოიქმნება აპორფინის და ნორაპორფინის დაჟანგვით.

მართლაც, ანონიანისა და რემერინის დაჟანგვით ქრომის ანჰიდრიდით (პირიდინში) მიიღება

ლირიოდენინი (სქემა 1). ლირიოდენინის თუთიით (მარილმჟავაში) აღდგენით მიიღება ანონიანი.

წყალბადის პეროქსიდით რემერინის დაჟანგვით მიიღება რემერინის N-ოქსიდი, ხოლო KMnO_4 -

ით დაჟანგვისას კი დეჰიდრორემერინი (სქემა 1).

რემერინის N-ოქსიდისა და იზოლაურელინის N-ოქსიდის აღდგენით ($\text{Zn} + \text{H}_2\text{SO}_4$), მიღებული იქნა შესაბამისი ალკალოიდები რემერინი და იზოლაურელინი (სქემა 1).

ის ფაქტი, რომ ვეგეტაციის სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა ვეგეტატიურ ორგანოში აღმოჩენილია სხვადასხვა ალკალოიდი და ხშირ შემთხვევაში ერთ და იგივე სახეობის მცენარეში

სრულიად განსხვავებული ალკალოიდები არსებობს, მისი ადგილმდებარეობის შესაბამისად და


ის გარემოება, რომ ლაბორატორიულ პირობებში ადვილად ხორციელდება ალკალოიდების ურთიერთგარდაქმნები ადასტურებს, რომ მცენარეშიც მიმდინარეობს ჟანგვა-აღდგენითი

პროცესები, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცოცხალ ორგანიზმში. ეს დასტურია იმ

მოსაზრებისა, რომ ერთი კონკრეტული ალკალოიდი, რომელიც ვეგეტაციის ერთ პერიოდში გარკვეულ როლს ასრულებს ფოთლებში, ვეგეტაციის მომდევნო პერიოდში გადადის მცენარის


სხვა ნაწილში ან გარდაიქმნება ახალ ალკალოიდად და მას დაეკისრება სხვა ფუნქციის შესრულება.

ალკალოიდების ურთიერთგარდაქმნა



2.1.6 იზოფერულის მჟავა


Magnolia obovata-ს ფოთლებიდან გამოყოფილი და იდენტიფიცირებულია ფენოლური ნაერთი იზოფერულის მჟავა:




ნაერთი (198) $C_{10}H_{10}O_4$ ლლ.ტ. $224-226^{\circ}C$. ოპტიკურად არააქტიურია $R_f O,65$. იწ სპექტრში (ნახ. 11) დაიმზირება ჰიდროქსილის ჯგუფებისათვის დამახასიათებელი ზოლი: 3400 სმ^{-1} , $C=C$ შეუღლებული ჯგუფისათვის 1615 სმ^{-1} , ბენზოლის ბირთვისათვის $+1515 \text{ სმ}^{-1}$, მეთოქსი ჯგუფისათვის $1280-1270 \text{ სმ}^{-1}$ და კარბონილის ჯგუფისათვის 1700 სმ^{-1} უბანში. უი სპექტრში (ნახ.12) ჩანს ფენოლის ნაწარმებისათვის დამახასიათებელი შთანთქმის მაქსიმუმები: 217, 242, 294, 323 ნმ.


ნაერთის (198) მას-სპექტრში (ნახ. 13) ჩანს მოლეკულური იონის პიკი M^+ 194, ხოლო მოლეკულური იონის ფრაგმენტაცია (სქემა 2) არ ეწინააღმდეგება ნაერთის სავარაუდო სტრუქტურას და დამახასიათებელია უჯერი არომატული მჟავებისათვის [157]; მიღებული შედეგები ადასტურებს გამოყოფილი ნაერთისა (198) და იზოფერულის მჟავას იდენტურობას.

იზოფერულის მჟავას მას-სპექტრომეტრული ფრაგმენტაცია






ნახ. 11. იზოპრენის მუცავის (198) იწ სპექტრი ეთანოლში



ნახ. 12. იზოფერული მყვანს (198) უი სპექტრი ვთანოდში



Եսե. 13. Թեոքեիցուս Բյուզան (198) Գան-Նճցճիբո

2.2 ბიოლოგიური აქტიურობის შესწავლა

Magnolia obovata-ს წყლიანი და სპირტიანი ექსტრაქტების ბიოციდური მოქმედების განსაზღვრისათვის შევისწავლეთ 1998 წლის აპრილში ბათუმის ბოტანიკურ ბაღში აღებული *Magnolia obovata*-ს ჰაერზე გამშრალი ფოთლები.

წყლიანი და სპირტიანი ექსტრაქტები ტოქსიკურობაზე შემოწმდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტში, მიკრობიოლოგიის განყოფილებაში, მიკრობიოლოგიის განყოფილების გამგის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ზურაბ შალვას ძე ლომთათიძისა და ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ქეთევან ხუტას ას მამულაშვილის დახმარებით.

კვლევის ობიექტებად გამოყენებული იქნა სხვადასხვა გვარის მიკროორგანიზმები [158-159]:

1. *Xanthomonas campestris*;
2. *Bacillus substilis*;
3. *Streptomyces albogriseolus* subsp. *Aragviensis*;
4. *Streptomyces albogriseolus* subsp. 89;

ობიექტების კულტივირებისათვის გამოყენებული იქნა შემდეგი საკვები არეები: 1. კრასილნიკოვის სინთეზური არე (CP-1) და 2. ხორცპეპტონიანი აგარი (ცხილ 8)

კულტივირება ხდებოდა თერმოსტატში 37°C-ზე 7 დღე-ღამის განმავლობაში.

კრასილნიკოვის სინთეზური არის შედგენილობა:


KNO_3 -1გ, K_2HPO_4 -0,5გ, MgSO_4 -0,5გ, NaCl -0,5 გ, FeSO_4 - კვალის სახით, CaCO_3 -1გ, სახამებელი 20 გ, აგარ-აგარი 20 გრ, წყალი 1ლ.

სტერილიზაცია ხდებოდა 30 წთ-ის განმავლობაში 1ატმ. წნევაზე.

ნივთიერების ტოქსიკური თვისებების გავლენა ტესტ-მიკროორგანიზმებზე შესწავლილი იქნა ეგოროვის „ჭის“ მეთოდით. ცდა გაკეთდა სპირტიან და წყლიან ექსტრაქტებზე, შედეგები მოყვანილია ცხრილში 8. როგორც ცდის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, ექსტრაქტებმა ტოქსიკური თვისებები გამოავლინა, კერძოდ, ტესტ-მიკროორგანიზმების მიმართ სელექტური ბიოციდური მოქმედება. ე. ი. ეს ნივთიერებები შეიძლება გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობაში აქტინომიცეტებისა და ფიტოპათოგენური მიკროორგანიზმების საწინააღმდეგოდ.

„ვაშტკიცებ“

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ნ.ნ. კეცხოველის სახელობის ბოტანიკის
ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე
შ.შ. ჭანიშვილი



აქტი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ.ნ.კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის განყოფილებაში შემოწმებულ იქნა თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის ქიმიის ფაკულტეტის ორგანული ქიმიის და ბუნებრივ ნაერთთა ქიმიის კათედრის თანამშრომელთა: პროფ. შ.ა.სამსონიას, დოც. დ.მ.წაქაძის და ამავე კათედრის მაძიებლის, აჭარის კოოპერაციული ინსტიტუტის თანამშრომლის, მანანა დავითის ასული სტურუას მიერ, ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მზარდი *Magnolia obovata*-ს ფოთლებიდან გამოყოფილი ექსგრაქტის (სხვადასხვა კონცენცრაციის) ბიოლოგიური აქტივობა ზოგიერთი მიკროორგანიზმის მიმართ.

ტესტ-ორგანიზმებად აღებულ იქნა ფიგოპათოგენური ბაქტერიები *Xanthomonas campestris* და *Bacillus subtilis* და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების პროლუცენტი აქტინომიცეტები: *Streptomyces albo-griseolus* sub. sp. *Araqviensis* და *Streptomyces albo-griseolus* sp. 89

გამოსაცდელი ნივთიერებების მოქმედების შედეგად ტესტ-მიკროორგანიზმებზე აღინიშნა ამ ნივთიერებათა სელექტური ბიოციდური მოქმედება. (ცხრილი თან ერთვის).

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ნ.ნ.კეცხოველის სახელობის ბოტანიკის
ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის
განყოფილების გამგე, ბიოლოგიურ
მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ზ.შ.ლომთაშიძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ბოტანიკის ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის
განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

ქ.ბ.მამულაშვილი

მაგნოლის ექსტრაქტის ბიოციდური თვისებების შესწავლა ზოგიერთ მიკროორგანიზმზე

საძლეული ნივთიერებები	მაგნოლის ექსტრაქტის წყალხსნარი			მაგნოლის ექსტრაქტის სპირტხსნარი		
	კ	ო	ნ	ც	ე	ბ
მიკროორგანიზმები	0,01 გ/ლ	0,1 გ/ლ	1 გ/ლ	0,01 გ/ლ	0,1 გ/ლ	1 გ/ლ
Bacillus substilis	8,3	9	10	7	9,6	9,6
Xanthomonas campestris	5,6	5,3	9,6	8,3	9,6	9,6
Streptomyces albogriseolus subsp. Aragvien. sis	-	0,5	2	-	0,5	2
Streptomyces albogriseolus sub. sp.89	-	1	3,3	0,5	1	4,3

P.S. დათრგუნვის ზონა გაზომილია მმ - ში და არის სამი „ქის“ გარშემო არსებული ზონის საშუალო არითმეტიკული.

თავი 3

ექსპერიმენტული ნაწილი

ნივთიერებების სისუფთავის კონტროლი და R_f -ის მნიშვნელობის განსაზღვრა წარმოებდა თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის გამოყენებით Silufol UV-254 ფირფიტაზე. სორბენტად აღებული იყო სილიკაგელი (მარკა L ჩეხოსლოვაკია), მარცვლების ზომა 5-40 მკმ (დამაგრებული 5% თაბაშირით).

სისტემები: 1) ბენზოლ-მეთანოლი (4:1), 2) ბუტანოლ-1-ძმარმჟავა-წყალი (4:1:5), 3) ეთილაცეტატი-მეთანოლი (9:1), 4) ბენზოლი-ეთანოლი (9:1), 5) ქლოროფორმი-ეთანოლი (9:1) (4:1).

ლაქები მჟღავნდებოდა იოდის ორთქლით დრაგენდორფის რეაქტივით და უ.ი. სხივების არეში. სორბენტად სვეტური ქრომატოგრაფიისათვის გამოიყენებოდა სილიკაგელი 40-100 მკმ ზომის ნაწილაკებით. ელუენტი ბენზოლი-მეთანოლი (სხვადასხვა თანაფარდობით).

ინფრაწითელი სპექტრები გადაღებულია ხელსაწყოზე UR-20 (კარლ-ცეისი) კალიუმის ბრომიდის აბეზად დასრესვის მეთოდით.

ულტრაიისფერი სპექტრები გადაღებულია სპექტროფოტომეტრ Specord-ზე ეთანოლში.

ბირთვული მაგნიტური რეზონანსის სპექტრები გადაღებულია სპექტროფოტომეტრ JNM-4H-100 (100-მგჰც) დეიტეროქლოროფორმში. სტანდარტი ჰექსამეთილდისილოქსანი.

მას-სპექტრები გადაღებულია მას-სპექტრომეტრზე (MX-1310), მაიონიზებელი ელექტრონების ენერგია 40 ე.ვ. 100-150 °-C ზე.

ინდივიდუალური ნაერთების გამოსავლიანობები გამოთვლილია ჯამური პრეპარატებიდან, ხოლო ჯამური პრეპარატების გამოსავლიანობა ჰაერზე მშრალი მცენარის ფოთლების აღებული რაოდენობიდან.

ღვთის ტემპერატურები მოცემულია ცელსიუსის შკალით - ალკალოიდების და მათი ნაწარმების ხვედრითი ბრუნვა ისაზღვრებოდა ლიპინ-ლანდოლტის პოლარიმეტრზე.

ქრომატოგრაფირებისას საკვლევ ალკალოიდებთან ერთად თავსდებოდა ე.წ. „მოწმეები“ - ცნობილი ალკალოიდები.

ალკალოიდების ჯამის რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდები

მეთოდი I

400 გ. *Magnolia obovata*-ს დაქუცმაცებულ ფოთლებს ასველებდნენ 5% NH_4OH -ით(1:1), ისე რომ კარგად გასრესილმა მცენარემ სულ შეისრუტოს ტუტე. შემდეგ მასალას ათავსებდნენ უწყვეტი ექსტრაქციის აპარატის (დ) ექსტრაქტორში. (სურ. 2) ფოთლებს 2 სთ-ის დაყოვნების შემდეგ ასხამდნენ ქლოროფორმს დაახლოებით 600 მლ. ოდენობით. ქლოროფორმი (დ) ექსტრაქტორიდან გადადის (ა) კოლბაში (ბ) მილის მეშვეობით. (ა) კოლბას ცხელდება (წყლის აბაზანით). აორთქლებული ქლოროფორმი ცივდება ჰორიზონტალური (გ) და ვერტიკალური (ე) მაცივრების მეშვეობით და ესხმება მცენარეს, ხოლო ქლოროფორმიანი გამონაწვლილი უწყვეტად გადადის (ა) კოლბაში, რომელშიც ქლოროფორმის აორთქლების შემდეგ იზრდება გამონაწვლილის კონცენტრაცია. ამგვარად ხდება ალკალოიდების გამოწვლილვა უწყვეტი მეთოდით. გამოწვლილვის დამთავრებას მოწმდება (ვ) მილიდან ჩამოწვეთებული ნიმუშიდან.

5-6 მლ ქლოროფორმიან ექსტრაქტს ამატებენ 1 მლ 10% H_2SO_4 -ს, ანჯღრევენ გამყოფ ძაბრში, მჟავიან ზედა ფენას უმატებენ 2-3 წვეთ სილიციუმპოლფრამის მჟავას (ბერტრანის რეაქტივი). თუ არ წარმოიქმნება ნალექი ან სიმღვრივე, გამოწვლილვა დამთავრებულია.

კონც. ქლოროფორმიან ექსტრაქტს (ა) კოლბიდან გადაასხამენ გამყოფ ძაბრში (მოც. 1 ლ) და გამოწვლილვას 5%-იანი H_2SO_4 -ით (100 მლ, 50 მლ, 50 მლ და ა.შ.) სრულ გამოწვლილვამდე (რეაქცია ბერტრანის რეაქტივთან).

გაერთიანებულ H_2SO_4 -იან გამონაწვლილს რეცხავენ ეთერით (200 მლ), ფილტრავენ და აცივებენ და გაცივების პირობებში შეატუტიანებენ 25%-იანი NH_4OH -ით. ტუტე რეაქციამდე. ალკალოიდები სრულად გამოიწვლილვა ქლოროფორმით.

ქლოროფორმიან ექსტრაქტს აშრობენ K_2CO_3 -ით, გაფილტრავენ და გადადენიან წყლის ვაკუუმში 30 მლ მოცულობამდე, რომელსაც გადაიტანენ წინასწარ აწონილ პეტრის ჯამზე. ქლოროფორმს აორთქლებენ ჰაერის ნაკადით. ნარჩენს აშრობენ ვაკუუმ-ექსიკატორში.

ალკალოიდების ჯამს წონიან. გამოსავლიანობა 1,92 გ (0,48%) ჰაერზე გამშრალი მცენარიდან.

მეთოდი II

400 გ. მცენარის დაქუცმაცებულ ფოთლებს ასველებენ 400 მლ 5% NH_4OH -ით, ათავსებენ 5 ლ მოცულობის კოლბაში, 2 სთ დაყოვნების შემდეგ ასხამენ 2,8 ლ ქლოროფორმს და 2 სთ-ის განმავლობაში ანჯღრევენ სანჯღრეველაში. ქლოროფორმიანი გამონაწვლილის კოლბიდან გადმოსხმის შემდეგ ექსტრაქტის მოცულობაა 2, 16 ლ.

ექსტრაქტს აშრობენ K_2CO_3 -ით, გაფილტრვისა და გამხსნელის გადაღენის შემდეგ მოცულობას დაიყვანენ 30 მლ-მდე, რომელიც გადააქვთ წინასწარ აწონილ პეტრის ჯამზე. ქლოროფორმს აორთქლებენ ჰაერის ნაკადით. ნარჩენს აშრობენ ვაკუუმ-ექსიკატორში. მიიღება ალკალოიდების ჯამი 1,88 გ (0,47%).

მეთოდი III

400 გ. მცენარის დაქუცმაცებულ ფოთლებს ასველებენ 400 მლ 5% NH_4OH -ით, და კარგად ასრესილ მასას ათავსებენ ტუბუსიან კოლბაში (მოც. 2ლ). 2სთ-ის შემდეგ ფარავენ ქლოროფორით(1,4 ლ) და აყოვნებენ 2 სთ. ყოველი 2 სთ - ის შემდეგ ალკალოიდების ქლოროფორმიან ექსტრაქტს გადმოწურავენ (6 გადმოწურვა) და ასხამენ ახალ გამხსნელს სრულ გამოწვლილვამდე. მიღებული ქლოროფორმიანი ექსტრაქტი (6,4 ლ) დამუშავდა პირველი მეთოდის ანალოგიურად.

ალკალოიდების ჯამის გამოსავლიანობაა 1,80 გ (0,45%).

მეთოდი IV

200 გ. მცენარის დაქუცმაცებულ ფოთლებს ასველებენ 10% NH_4OH -ით (1:1), 2 სთ დაყოვნების შემდეგ ათავსებენ ქალაღლის გილზაში და ჩაუშვებენ სოქსლეტის აპარატის რეაქტორში. გამოწვლილვას აწარმოებენ ქლოროფორმით სრულ გამოწვლილვამდე. ქლოროფორმიანი ექსტრაქტს (2ლ) აშრობენ K_2CO_3 -ით, გაფილტრვა და დამუშავება ხდება პირველი მეთოდის ანალოგიურად.

ალკალოიდების ჯამის გამოსავლიანობაა 1,80 გ (0,45%) მშრალ მცენარეზე გადაანგარიშებით.

Magnolia obovata Thunb-ის ალკალოიდების გამოკვლევა

1995 წლის სექტემბერში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ბოტანიკურ ბაღში აღებული ალკალოიდების გამოყოფა.

2 კგ ჰაერზე გამშრალი მაგნოლიას ფოთლებს ასველებენ 5% NH_4OH -ით (2:1), 2 სთ დაყოვნების შემდეგ გამოწვლილავენ უწყვეტი ექსტრაქციის აპარატში. ქლოროფორმიანი გამონაწვლილის მოცულობას ამცირებენ წყლის ვაკუუმში და ამუშავენ 10% H_2SO_4 -ით. გაერთიანებულ მჟავიან ექსტრაქტს რეცხავენ ეთერით და გაცივების პირობებში შეატუტიანებენ 25% NH_4OH -ით და გამოწვლილავენ ქლოროფორმით სრულ გამოწვლილვამდე. ქლოროფორმიან ექსტრაქტს აშრობენ K_2CO_3 -ით, ქლოროფორმს გადადენიან წყლის ვაკუუმში და ფილტრავენ. დარჩენილი ქლოროფორმს აორთქლებენ ჰაერის ნაკადით. ნარჩენს აშრობენ ვაკუუმ-ექსიკატორში. მიღებულია 9,6 გ ალკალოიდების ჯამი, რაც შეადგენს 0,48% ჰაერზე გამშრალი მცენარიდან.

9,6 გ ალკალოიდების ჯამს კვლავ ხსნიან 10% H_2SO_4 -ში და კვლავ ატუტიანებენ 25% NH_4OH -ით. ალკალოიდებს გამოწვლილავენ ეთერით (ა) და ეთერს გადადენიან 0,5 ლ მოცულობამდე (სქემა 3)

ეთერიანი ექსტრაქტის დამუშავება ფენოლურ და არაფენოლურ ნაწილებად დაყოფის მიზნით

0,5 ლ ეთერიან ექსტრაქტს (ა) ამუშავენ 5%-იანი NaOH -ის ხსნარით (20მლ, 15მლ და 15მლ). ეთერიან ექსტრაქტს რეცხავენ წყლით და ამატებენ 5%-იან NaOH -იან გამონაწვლილს. ეთერიან ექსტრაქტს აშრობენ უწყლო K_2CO_3 -ით და ფილტრავენ. ეთერის გადადენის შემდეგ მიიღება 5,85 გ არაფენოლური ალკალოიდების ჯამი.

5%-იან ტუტიან გამონაწვლილს, რომელიც შეიცავს ფენოლურ ალკალოიდებს, ისევ შეამუშავენ მარილმჟავით (1:1), შემდეგ კვლავ შეატუტიანებენ 25% NH_4OH -ით და გამოწვლილავენ ეთერით. ეთერის გადადენის შემდეგ მიიღება ფენოლური ალკალოიდების ჯამი 2,1 გ.

ალკალოიდების ჯამის გამოწველილვა
Magnolia obovata

2 კგ მშრალი მაგნოლიის ფოთლები +5% NH₄OH



გამოწველილვა ქლოროფორმით



გამოწველილვა 10% H₂SO₄-ით



მჟავიანი გამონაწველილი +NH₄OH



გამოწველილვა ქლოროფორმით



ქლოროფორმის გადადენა-გამოიყო ალკალოიდების ჯამი 9,6გ



ჯამი 9,6გ გაიხსნა 10% H₂SO₄-ში+ კონც. NH₄OH



გამოწველილვა ეთერით. ეთერი გადაიდენა 0,5 ლ-მდე. (ა)

არაფენოლური ალკალოიდების ჯამის დაყოფა სილიკაგელის სვეტზე

არაფენოლური ალკალოიდების ჯამის (5,85 გ) თხელფენოვანი ქრომატოგრაფიული ანალიზით დადგინდა მასში 6 ალკალოიდის არსებობა.

ჯამური პრეპარატის ფრაქციონირება.

5,85 გ ჯამური პრეპარატი გაიხსნა ქლოროფორმში. ქლოროფორმი გადაიდენა მოცულობის შემცირების და ალკალოიდების კონცენტრაციის გაზრდის მიზნით. კონცენტრირებული ხსნარიდან გამოიყო 0,9 გ ფუძე. დედა ხსნარის ფრაქციონირება ტარდება სილიკაგელის ქრომატოგრაფიულ სვეტზე [სქემა 4].

ალკალოიდების ელუირება ხდებოდა ბენზოლ-მეთანოლის სხვადასხვა თანაფარდობის ნარევებით: 99:1; 98:2; 95:5.

გამხსნელების გადადენის შემდეგ 99:1 ელუატიდან მიიღება ანონაინი (0,056 გ) და რემერინი (0,015 გ). 98:2 ელუატიდან მიიღება ლირიოდენინი (0,22 გ) და ლანუგინოზინი (0,15 გ). 95:5 ელუატიდან კი იზოლაურელინის N-ოქსიდი (0,08 გ) (სქემა 4).

ლირიოდენინი (192)

ქლოროფორმის კონცენტრირებული ხსნარის დაყოვნებისას გამოყოფილი კრისტალები (0,9 გ) აღმოჩნდა ფუძეების ნარევი R_f 0,58, 0,45; ნარევი დამუშავდა ისევ ქლოროფორმით, გამოილექა ყვეთელი კრისტალები ლლ. ტ. 263-265°C გამოსავლიანობა 0,4 გ ქლოროფორმიდან ორჯერ გადაკრისტალების შემდეგ ლლ. ტ. 275°C (დაშლით) $[\alpha]_D^{22} \pm 0$ (c 0,35 ქლოროფორმი-მეთანოლი 1:1)

R_f 0,58 (სისტემა 3) მიღებული ფუძის შერეული სინჯის ლლ. ტ. მოწმე ლირიოდენინთან არ იძლევა დეპრესიას. ასევე იდენტურია იწ სპექტრი, სმ⁻¹: 1650, 1042, 953. უი სპექტრი, λ_{max} , ნმ (lgε): 248 (4,21), 269 (4,11), 312 (3,64), 416 (3,79). ნაპოვნია, %: C 73,73; H 3,01; N 4,64. M⁺ 275. C₁₇H₁₉O₃N. გამოთვლილია, %: C 74,18; H 3,27; N 5,09. M⁺ 275,3

ეთერიანი ექსტრაქტის დამუშავება ფენოლურ და არაფენოლურ ნაწილებად დაყოფის მიზნით

0,5 ლ ეთერიანი (ა) ექსტრაქტი დამუშავდა 5%-იანი NaOH-ით

ეთერიანი ხსნარი (ა) ტუტით დამუშავების შემდეგ

ეთერის გადაღების შემდეგ მიიღება არაფენოლური ალკალოიდების ჯამი (5,85 გ)

არაფენოლური ალკალოიდების ჯამის გახსნა ქლოროფორმში

ქლოროფორმის გადაღების შემდეგ დაყოვნებისას

ლირიოდენინი

დედა ხსნარი ლირიოდენინის მოშორების შემდეგ გატარდა სილიკაგელის სვეტზე

ელუატი 99:1
ბენზოლი-მეთანოლი

ანონაინი და რემერინი

ელუატი 98:2
ბენზოლი-მეთანოლი

ლირიოდენინი და ლანუგინოზინი

ელუატი 95:5
ბენზოლი-მეთანოლი

იზოლაურელინის N-ოქსიდი

5%-იანი ტუტიანი გამონაწვლილი

ტუტიან გამონაწვლილს+HCl(1:1) მუავე რეაქციამდე და შეტუტიანდება კონც. NH₄OH-ით

გამოწვლილვა ეთერით (ბ)

ეთერის (ბ) გადაღების შემდეგ რჩება ფენოლური ალკალოიდების ჯამი 2,1 გ

ანონაინი (193)

ლორიოდენინის (192) მოშორების შემდეგ, ქლოროფორმიანი დედა ხსნარი გატარდა სილიკაგელის სვეტზე. მარცვლების ზომა 40-100 მკმ. ელუირება წარმოებდა ნარევიტ ბენზოლი-მეთანოლი 99:1; 98:2; 95:5. 99:1 ელუატიდან გამხსნელის აორთქლების შემდეგ ქრომატოგრამაზე აღმოჩნდა ორი ნივთიერება, რომელთა დაშორება მოხდა კრისტალიზაციის განსხვავებული სიჩქარის გამოყენებით. მცირე დროით დაყოვნებისას გამოიყო ანონაინი ფისის სახით. ხსნარის გადმოწურვისა და გამხსნელის ბოლომდე აორთქლების შემდეგ გამოიყო მეორე ალკალოიდი რემერინი.

ანონაინი, რომელიც ფისის სახით გამოიყო, გაიხსნა სპირტისა და აცეტონის ნარევიში. იგი გადაკრისტალების მიზნით გადაყვანილი იქნა ქლორჰიდრატში. წვეთ-წვეთობით დაემატა 5%-იანი HCl სუსტ მჟავე რეაქციაზე. წკირით გახეხვის შემდეგ, რამდენიმე წუთში, გამოიყო თეთრი ფერის ქლორჰიდრატის კრისტალები, სპირტისა და აცეტონის ნარევიდან (თანაფარდობა 1:1). გადაკრისტალების შემდეგ ლლ. ტ. 275-277°C (დაშლით).

ანონაინის ფუძეში გადაყვანის მიზნით ქლორჰიდრატის კრისტალებს წვეთ-წვეთობით ემატებოდა ამონიუმის ჰიდროქსიდი სუსტ ტუტე რეაქციაზე, წკირით გახეხვის შედეგად გამოიყო ანონაინი ფუძის სახით (0,056 გ). სპირტიდან გადაკრისტალების შემდეგ ლლ. ტ. 120-122°C (დაშლით), $C_{17}H_{15}NO_2 M^+$ 265; $[\alpha]_D^{22} -60^\circ$ (c 0,089 სპირტი) მას-სპექტრი, m/e: 265(M^+). 264, 250, 236, 235, 132,5 ($^{++}$), ბმრ სპექტრი, ვ.მ.ნ.: 5,82, 6,96 (CH_2O_2), 6,5 7,05-8,0 (4H)

რემერინი (194)

ანონაინის (194) გამოყოფის შემდეგ, გამხსნელის აორთქლებით მიიღება ალკალოიდი რემერინი (0,015 გ) $C_{18}H_{17}NO_2$ ლლ. ტ. 101-102°C, ქლორჰიდრატის ლლ. ტ. 262-263°C (სპირტიდან), იოდმეთილატის ლლ. ტ. 215-216°C (სპირტიდან) უი სპექტრი, λ_{max} , ნმ (lgε): 254, 262, 332, მას-სპექტრი, m/e: 279(M^+), 262, 246, 232, ბმრ სპექტრი, ვ.მ.ნ.: 2,95 (3H) ($>N-CH_3$), 6,07(2H), (CH_2O_2), 5,95-6,10 (4H)

ლანუგინოზინი (195)

98:2 ბენზოლი-ეთანოლი ელუატში აღმოჩნდა სამი ლაქა: R_f 0,58, 0,45, 0,24. გამხსნელის აორთქლებით შემდეგ ნალექი დამუშავდა ქლოროფორმით. გამოიყო ნალექი 0,1 გ. გაფილტრვისა და სპირტიდან ორჯერადი გადაკრისტალების შემდეგ მოღებულია ლანუგინოზინის მოყავისფერო კრისტალები $C_{18}H_{11}NO_4$ ლლ. ტ. $319-321^\circ C$ R_f 0.45. ოპტიკურად არააქტიურია, იხსნება ორგანულ გამხსნელებში, იწ სპექტრი, cm^{-1} : 1655, 1490, 1405, 1360, 1254, 1125, 1040, 960, 940

ანონაინის გადაყვანა რემერინში

0,03 გ ანონაინის, 2 მლ 85% ჭიანჭველის მჟავის და 2 მლ ჭიანჭველის ალდეჰიდის ნარევის აღულებენ 4 სთ-ის განმავლობაში. გაცივების შემდეგ სარეაქციო ნარევის აზავებენ წყლით და გამოწვლილავენ ეთერით. ეთერის გადაღების შემდეგ ნარჩენს ემატებოდა HCl-ით შემჟავებული სპირტი.

